საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №1022
2014 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,**ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №42 ბრძანების (ვებგვერდი, 22/01/2014, სარეგისტრაციო კოდი - 140130000.22.034.016271) პირველი მუხლით დამტკიცებული №18 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 22 დეკემბრიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი №18

კონტრდაზვერვის დეპარტამენტი

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2 705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2 540
მთავარი სამმართველოს უფროსი, რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსი	2 355
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2 235
სამმართველოს უფროსი	2 115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2 000
სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	1 315
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	1 275
განყოფილების უფროსის მოადგილე, უფროსი ინსპექტორი	1 230
ინსპექტორი	1 105
უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, მთავარი სპეციალისტი	1 040

ოპერატიული თანამშრომელი	965
თანამშრომელი	790